საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში

ანგარიშის მიმოხილვა 2
ზოგადი ინფორმაცია ასოციაციის შესახებ 2
ასოციაციის მართვის სტრუქტურა და ბიუჯეტი 3
ასოციაციაში გაწევრიანებულ პირთა სტატისტიკური მონაცემები/წევრთა რეესტრი 4
ასოციაციის სოციალური დაცვის ფონდის საქმიანობა და წევრთა მხარდაჭერა 6
ასოციაციის საკომიტეტო საქმიანობა 8
ასოციაციის საგანმანათლებლო საქმიანობა 13
ასოციაციის ეთიკის კომისიის საქმიანობა 24
ასოციაციის სარევიზიო კომისიის საქმიანობა 33
ასოციაციის სოციალური პასუხისმგებლობა 35
მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭო (Bench-Bar) 36
კორპორაციული მიმართულება 37
საერთაშორისო თანამშრომლობა 39
საადვოკატო საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს სრულყოფა 42
ადვოკატთა ასოციაციის ინფრასტრუქტურული განვითარება 44

ანგარიშის მიმოხილვა

წინამდებარე ანგარიში მოიცავს ზოგად ინფორმაციას ასოციაციის მართვის სტრუქტურისა და მანდატის შესახებ. ანგარიშში ასახულია ინფორმაცია 2020 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებების თაობაზე, მათ შორის საგანმანათლებლო, ეთიკის კომისიის, საკომიტეტო საქმიანობის, სოციალური ფონდის საქმიანობის მიმართულებით, ინფორმაცია საერთაშორისო თანამშრომლობის, სოციალური პასუხისმგებლობის და კორპორაციული ღონისძიებების, საკანონმდებლო ცვლილებების, ინფრასტრუქტურული განვითარების მიმართულებით განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობების შესახებ. ანგარიში ასევე მოიცავს ინფორმაციას სხვადასხვა დონორი ორგანიზაციის დაფინანსებით შესრულებული პროექტების შესახებ.

ზოგადი ინფორმაცია ასოციაციის შესახებ

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია (შემდგომში "ასოციაცია") წარმოადგენს პირთა წევრობაზე დაფუძნებულ საჯარო სამართლის კორპორაციას და შექმნილია "ადვოკატთა შესახებ" და "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონების საფუძველზე. ანგარიშის მომზადების პერიოდისთვის, ასოციაცია აერთიანებს 9 455 წევრს, საიდანაც 4 858 მოქმედი ადვოკატია.

ასოციაციის მიზანია, უზრუნველყოს იურიდიული პროფესიის ერთიანობა, ხარისხიანი და სანდო მართლმსაჯულების სისტემის დამკვიდრება იურიდიული პროფესიის დამოუკიდებლობისა და საადვოკატო საქმიანობაში მაღალი პროფესიული სტანდარტების უზრუნველყოფით.



ასოციაციის მართვის სტრუქტურა და ბიუჯეტი

ასოციაციის უმაღლესი ორგანოა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება. ადვოკატთა ასოციაციაში „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ფუნქციათა შესასრულებლად შექმნილია აღმასრულებელი საბჭო, ეთიკის კომისია და სარევიზიო კომისია, რომელთა უფლებამოსილებაც გაწერილია ასოციაციის წესდებითა და “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონით.

ასოციაციის მართვის ორგანოა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო, რომელიც შედგება 12 წევრისაგან, რომლის შემადგენლობაშიც თანამდებობრივად შედის და ხელმძღვანელობს ასოციაციის თავმჯდომარე. საანგარიშო პერიოდში გაიმართა აღმასრულებელი საბჭოს 18 სხდომა და საბჭოს წევრებმა განიხილეს 180-ზე მეტი საკითხი. აღმასრულებელი საბჭოს სხდომის ოქმები საჯაროა ყველა დაინტერესებული პირისთვის და განთავსებულია ასოციაციის ვებ-გვერდზე www.gba.ge .

ასოციაციის აპარატი აერთიანებს ოთხ ძირითად მიმართულებას:

- საკომიტეტო საქმიანობის, კომუნიკაციისა და ანალიტიკურ საქმეთა დეპარტამენტი;
- ადმინისტრაციულ და იურიდიულ საკითხთა დეპარტამენტი;
- სასაწავლო ცენტრი;
- ეთიკის კომისიის აპარატი.

ასოციაციის აპარატს ხელმძღვანელობს ასოციაციის აღმასრულებელი მდივანი, რომლის უფლებამოსილება გაწერილია “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონითა და ასოციაციის წესდებით.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ასოციაციის აპარატში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შედეგად, ასოციაციაში დასაქმებულია 25 თანამშრომელი: 19 ქალი და 6 კაცი. ასოციაცია თბილისის მასშტაბით აერთიანებს ორ, ხოლო რეგიონული მასშტაბით ოთხ ოფისს: ზუგდიდში, ბათუმში, ქუთაისსა და კახეთში.

ასოციაციის 2020 წლის ბიუჯეტი, რომელსაც ყოველი წლის ბოლოს ამტკიცებს აღმასრულებელი საბჭო, შეადგენდა 884 500 ლარს.

ასოციაციაში გაწევრიანებულ პირთა სტატისტიკური მონაცემები / წევრთა რეესტრი 2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით

2020 წელს, ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანდა 159 პირი - 84 სამოქალაქო სამართლის, 28 სისხლის სამართლის, ხოლო 47 საერთო სპეციალიზაციით. საანგარიშო პერიოდისთვის ასოციაცია აერთიანებს 4858 მოქმედ წევრს, საიდანაც 2526 კაცი და 2332 ქალია. 4858 მოქმედი წევრიდან 3359 წევრი თბილისში, ხოლო 1499 რეგიონებში საქმიანობს.





საწევრო შეღავათის სახე და პროცენტული მაჩვენებელი



ასოციაციის სოციალური დაცვის ფონდის საქმიანობა და წევრთა მხარდაჭერა

ადვოკატთა სოციალური დაცვის ფონდი დაფუძნდა 2013 წელს. ფონდის მიზანია კოლეგიალური სოლიდარობის სულისკვეთებით, წევრი ადვოკატების სოციალური დაცვის ხელშეწყობა და ჯანმრთელობის პრობლემების წინაშე არსებული კოლეგების მხარდაჭერა. ფონდის მმართველი ორგანოა გამგეობა, რომლიც შედგება 5 წევრისგან და აირჩევა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ 3 წლის ვადით.

ფონდის ბიუჯეტი ყოველწლიურად მტკიცდება ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ და გარდა ნებაყოფლობითი შემოწირულობებისა, ასოციაციის საწევრო შენატანიდან არანაკლებ 5% ირიცხება ადვოკატთა სოციალური დაცვის ხელშეწყობის ფონდში.

საანგარიშო პერიოდში სოციალური დახმარების ფონდმა დახმარება გაუწია ჯანმრთელობის პრომლემების მქონე 62 ადვოკატს, რომლის ფარგლებშიც სოციალური დახმარების ფონდის ბიუჯეტიდან გაიცა თანხა 57750 ლარის ოდენობით.



ამასთან, კორონავირუსის პანდემიით გამოწვეულმა გლობალურმა კრიზისმა იურიდიული პროფესიაც მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენა, რამაც უარყოფითად იმოქმედა კოლეგების ეკონომიკურ მდგომარეობაზე. სწორედ ამ მიზნით, შემუშავდა წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებები, რომელიც აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცდა და მოიცავდა 2 მიმართულებას: (ა) საწევრო შენატანების გადავადება და (ბ) სოციალური დახმარების ფონდის ბიუჯეტის გაზრდა.

კერძოდ, ასოციაციის წევრებს მიეცათ 2020 წლის საწევრო დავალიანების გადახდის წლის ბოლომდე გადავადების შესაძლებლობა. საერთო ჯამში, აღნიშნული შეთავაზებით სარგებლობისთვის, ადვოკატთა ასოციაციას მომართა 266-მა წევრმა და აღმასრულებელი საბჭოს 11 ივნისის გადაწყვეტილებით, ყველა მათგანს გადაუვადდა 2020 წლის საწევრო დავალიანების გადახდის ვადა წლის ბოლომდე.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საოპერაციო ხარჯების იმგვარი ოპტიმიზაცია (სამივლინებო, წარმომადგენლობითი, ადმინისტრაციული და მსგავსი ხარჯების შემცირება), რომ არ შეფერხებულიყო ორგანიზაციის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ფუნქციების განხორციელება, ხოლო დაზოგილი თანხით სოციალური დახმარების ფონდის ბიუჯეტი დამატებით გაიზარდა 30 000 ლარით. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში, ადვოკატებს, რომელთაც მომართეს ასოციაციას გაეწიათ ერთჯერადი ფულადი დახმარება კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული გლობალური კრიზისიდან გამომდინარე შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით.

აგრეთვე, პანდემიიდან გამომდინარე, სასამართლოებში საქმეთა განხილვა დაიწყო დისტანციური წესით. დისტანციურ სასამართლო სხდომებში ადვოკატთა შეუფერხებელი მონაწილეობის მიზნით, ასოციაციის აპარატში შეიქმნა ტექნიკური ჯგუფი, რომელმაც ადვოკატებისთვის მოამზადა დისტანციური პლატფორმის ვიდეო ინსტრუქცია და მომართვის საფუძველზე ტექნიკურ მხარდაჭერას უწევს ასოციაციის წევრებს.

ასევე, გამომდინარე იქიდან, რომ რიგ წევრებს არ გააჩნიათ შესაძლებლობა შეიძინონ საჭირო ტექნიკური საშუალებები ან/და არ აქვთ წვდომა სათანადო ხარისხის ინტერნეტთან, ჩვენი პარტნიორი დონორი ორგანიზაციის მხარდაჭერით შევიძინეთ შესაბამისი მონაცემების კომპიუტერები და ადვოკატთა ასოციაციის ყველა რეგიონულ ოფისში მოეწყო კომპიუტერული ოთახები, რომლითაც ზემოაღნიშნული წევრები, რეგიონული კოორდინატორების მხარდაჭერით, დისტანციურ სასამართლო სხდომებში ღებულობენ მონაწილეობას.

საანგარიშო პერიოდში, ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარების კვალდაკვალ, ასოციაციის აპარატი ოპერატიულ რეაგირებას ახდენდა წევრთა უსაფრთხოებისა და საადვოკატო საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების საკითხებზე. აღსანიშნავია, დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში პროფესიული საქმიანობის მიზნით, ადვოკატთა გადაადგილების სპეციალური წესის შეთანხმება მთავრობის საოპერაციო შტაბთან. კერძოდ, გადაადგილების შეზღუდვის დროის მონაკვეთში, ადვოკატების გადაადგილება ითვლება განსაკუთრებული პროფესიული აუცილებლობიდან გამომდინარე გამონაკლისად, რომლის დროსაც სავალდებულო მოთხოვნად განისაზღვრა მხოლოდ ადვოკატის მოწმობისა და სათანადო წესით გაფორმებული ორდერის წარდგენის აუცილებლობა საპატრულო ეკიპაჟისათვის.

აღნიშნული შეთანხების განხორციელების მიზნით, ასოციაციის აპარატში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც პანდემიის პირველი ტალღის პერიოდში დახმარება გაუწია 1000-ზე მეტ ადვოკატს დღე-ღამის განმავლობაში უსაფრთხო გადაადგილების მიზნებისათვის, რაც განგრძობად ხასიათს ატარებს პანდემიის მიმდინარე ტალღის ფარგლებშიც.

<u>ასოციაციის საკომიტეტო საქმიანობა</u>

ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, 2019 წლიდან, საკომიტეტო საქმიანობის განხორციელების მიზნით, ასოციაციაში ფუნქციონირებს 32 თემატური კომიტეტი: 15 - თბილისში და 17 რეგიონული მასშტაბით - კახეთი, იმერეთი, აჭარა, სამეგრელო-ზემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი.

2020 წლის განმავლობაში, ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალიწინებით, ასოციაციის კომიტეტის სხდომები როგორც თბილისში, ისე რეგიონებში მიმდინარეობს დისტანციურად/ონლაინ პლატფორმის გამოყენებით.



2020 წლის მდგომარეობით, თბილისში საკომიტეტო საქმიანობას ახორციელებს 15 თემატური კომიტეტი, კერძოდ:

- ადვოკატის უფლებათა დაცვის კომიტეტი;
- სისხლის სამართლის კომიტეტი;
- სამოქალაქო სამართლის კომიტეტი;
- ადმინისტრაციული სამართლის კომიტეტი;
- ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი;
- მართლმსაჯულების და სასამართლო რეფორმების კომიტეტი;
- კომერციული და კონკურენციის სამართლის კომიტეტი;
- შრომის სამართლის კომიტეტი;
- ინტელექტუალური საკუთრების სამართლის კომიტეტი;
- მედიაციის და არბიტრაჟის განვითარების კომიტეტი;
- ადვოკატის სოციალური დაცვის კომიტეტი;
- კორპორატიული ერთობის განვითარების კომიტეტი;

- ❖ კომუნიკაციის და მედია სამართლის კომიტეტი;
- ❖ პრობონო სერვისებს განვითარების კომიტეტი;
- ❖ ახალგაზრდა ადვოკატთა პროფესიაში ინტეგრაციის კომიტეტი.

კახეთში, იმერეთში, აჭარაში და სამეგრელო-ზემო სვანეთში საკომიტეტო საქმიანობას ახორციელებს შემდეგი 4-4 თემატური კომიტეტი: ადვოკატის უფლებათა დაცვის, სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის და კორპორატიული ერთობის განვითარების კომიტეტები, ხოლო სამცხე-ჯავახეთში ადვოკატის უფლებათა დაცვის კომიტეტი.

მიმდინარე წლის მონაცემებით თბილისში მოქმედი კომიტეტების ფარგლებში ჩატარდა 33 სხდომა, ხოლო რეგიონებში მოქმედი კომიტეტების ფარგლებში - 31 სხდომა.

კომიტეტების მიერ წლის განმავლობაში განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობების მიმოხილვა:

- ❖ ადვოკატის უფლებათა დაცვის კომიტეტი:

2020 წლის განმავლობაში, ადვოკატის უფლებათა დაცვის თბილისის კომიტეტში დარეგისტრირდა 37 განცხადება, საიდანაც კომიტეტმა შეისწავლა და შესაბამისი დასკვნა მოამზადა 37-ივე განცხადებაზე. ჯამში თბილისის კომიტეტმა ჩაატარა 15 სხდომა, ხოლო ადვოკატის უფლებების დაცვის რეგიონულმა კომიტეტმა - 19 სხდომა. კომიტეტების დასკვნის საფუძველზე მომზადდა წერილობითი დოკუმენტები და გაიგზავნა შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებში რეაგირების განხორციელების მიზნით.

რეგიონებში მოღვაწე ადვოკატების ჩართულობით, ადვოკატის უფლებათა დაცვის კომიტეტმა საანგარიშო პერიოდში ჩაატარა არაერთი ბრიფინგი და დისტანციური შეხვედრა.

აღსანიშნავია, თბილისსა და ქუთაისში მოღვაწე ადვოკატების მხარდასაჭერი ბრიფინგები, რომელიც შეეხებოდა 2020 წლის 02 ივლისის სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ N2, N3, N5, N6, N7, N8 და N15 პენიტენციურ დაწესებულებებში რენტგენის აპარატების/სკანერების განთავსებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ასოციაციის თავმჯდომარის აქტიური ჩართულობით, ზემოაღნიშნულ პენიტენციურ დაწესებულებებში შესვლისას/გამოსვლისას ადვოკატებისთვის განისაზღვრა არჩევანი - სავალდებულო შემოწმება გაიაროს ტექნიკური მოწყობილობის საშუალებით ან პირადი არასრული შემოწმების გზით. ამასთან, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურთან შეთანხმდა, რომ ტექნიკური

მოწყობულობით შემოწმება განხორციელდება ისეთი მოწყობილობით, რომელიც არ არის საზიანო ადვოკატის ჯანმრთელობისთვის.

- მართლმსაჯულებისა და სასამართლო რეფორმებით დაცვის კომიტეტი:

საანგარიშო წლის დასაწყისში, კომიტეტში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც USAID/ PROLoG-ის მხარდაჭერით დაამუშავა და მოამზადა ანგარიში და რეკომენდაციები უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევისას საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის როლსა და ჩართულობაზე, რომლის პუბლიკაციური ვერსიაც ხელმისაწვდომია ელექტრონული, ასევე მატერიალური ფორმით.

- მედიაციისა და სასამართლო რეფორმების დაცვის კომიტეტი:

კომიტეტი აქტიურად არის ჩართული საქართველოში მედიაციის ინსტიტუტის განვითარებაში, მათ შორის კომიტეტს ჰქონდა არაერთი საინფორმაციო ჩართვა საქართველოს მედიატორთა ასოციაციასთან, სადაც იმსჯელეს მედიაციის პროცესში ადვოკატის როლის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე და ამ მიმართულებით გადასადგმელ ქმედით ნაბიჯებზე.

- შრომის სამართლის კომიტეტი:

კომიტეტი აქტიურად იყო ჩართული საქართველოს ორგანულ კანონში „შრომის კოდექსში“ განხორციელებული ცვლილებების განხილვის და დამუშავების პროცესში. კომიტეტმა ადვოკატებთან განახორციელა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ორგანიზება, მათ შორის შრომის უსაფრთხოების საკითხებზე.

ამერიკის სოლიდარობის ფონდის მხარდაჭერით, კომიტეტმა გამართა გასვლითი სამუშაო შეხვედრა, სადაც შემუშავდა კომიტეტის მომდევნო წლის სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტები.

- ინტელექტუალური საკუთრების სამართლის კომიტეტი:

კომიტეტმა გამართა სხვადასხვა საინფორმაციო შეხვედრები, მათ შორის EUIPO-ს წარმომადგენელთან. კომიტეტმა ასევე დაამუშავა საკითხთა ჩამონათვალი ევროკავშირისა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების პროექტის (EUGIPP) ფარგლებში მოსამზადებელი გადაწყვეტილებების კრებულისათვის.

- კომერციული და კონკურენციის სამართლის კომიტეტი:

კომიტეტი აქტიურად იყო ჩართული „კონკურენციის შესახებ“ და “მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ” საქართველოს კანონებში შესატანი ცვლილებების განხილვის პროცესში. კომიტეტმა ამ მიმართულებით ადვოკატებთან განახორციელა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ორგანიზება.

- სისხლის სამართლის კომიტეტი:

კომიტეტი მიმდინარე წელს ორი მთავარი მიმართულებით საქმიანობდა: (ა) ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემდგომი განვითარება და პოპულარიზაცია, რასთან დაკავშირებითაც გარდა საკომიტეტო შეხვედრებისა, კომიტეტის წარმომადგენლები, მოსამართლეებთან და პროკურორებთან ერთად, აქტიურად იყვნენ ჩართული DoJ-ის მიერ ინიცირებულ შეხვედრებში, რომლის ფარგლებშიც მუშავდება წინადადებები ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემდგომი განვითარებისთვის; (ბ) კომიტეტის თავმჯდომარე უშუალოდ არის ჩართული სახელმძღვანელოს მომზადებაში, რომელიც შეეხება სისხლის სამართლის პროცესში გამოსაყენებელი ტიპიური ფორმების შემუშავებას, რომლის მხარდაჭერასაც ახორციელებს ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში.

ასოციაციის კომიტეტების ფარგლებში განხორციელებული ვებინარების ციკლი:

ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარებისა და სამუშაო ფორმატის დისტანციურ პლატფორმაზე გადასვლიდან გამომდინარე, ადვოკატთა ასოციაციამ საკომიტეტო საქმიანობის ფარგლებში დაიწყო ონლაინ დისკუსიების სერია, რომელიც დაკავშირებულია იურიდიული პროფესიისა და ფართო საზოგადოებისთვის საინტერესო აქტუალურ და მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხებთან.

ონლაინ დისკუსიების სერიის ფარგლებში 2020 წლის მაისიდან - დღემდე გამართა 6 ვებინარი, რომელიც ასოციაციის სოციალური გვერდის საშუალებით გადაიცემა პირდაპირ რეჟიმში. დისკუსიებში მონაწილეობის და შეკითხვების დასმის შესაძლებლობა აქვთ საკითხით დაინტერესებულ ყველა პირს.

ვებინარები ჩატარდა თემებზე:

- **უფლებების დაცვა მედიაში** - ჩატარდა ადვოკატთა ასოციაციის კომუნიკაციისა და მედია სამართლის კომიტეტის მიერ;
- **შრომითი უფლებები პანდემიის დროს** - ჩატარდა ადვოკატთა ასოციაციის შრომის სამართლის კომიტეტის მიერ;
- **შრომითი კანონმდებლობის რეფორმა** - ჩატარდა ადვოკატთა ასოციაციის შრომის სამართლის კომიტეტის მიერ, საქრთველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებასთან თანამშრომლობით.

- **ინტელექტუალური საკუთრების სამართლის აქტუალური საკითხები** - ჩატარდა ადვოკატთა ასოციაციის ინტელექტუალური საკუთრების სამართლის კომიტეტის მიერ;
- **მედიაცია, მისი მნიშვნელობა, გამოწვევები და პერსპექტივები** - ჩატარდა ადვოკატთა ასოციაციის მედიაციისა და არბიტრაჟის განვითარების კომიტეტის კომიტეტის მიერ, საქარტველოს მედიატორთტა ასოციაციასა და საქართველოს უზენაეს სასამართლოს თანამშრომლობით.
- **პრობლემური საკითხები ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებე მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში** - ჩატარდა ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტის მიერ, სახალხო დამცველის აპარატთან თანამშრომლობით.

<u>ასოციაციის საგანმანათლებლო საქმიანობა</u>

ძირითადი მიმართულებები:

- **ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა:**

საანგარიშო წელს, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა ჩატარდა ერთხელ. საგაზაფხულო სესიაზე მონაწილეთა რაოდენობა შეადგენდა 770-ს, საიდანაც

გამოცდა წარმატებით ჩააბარა 320-მა მონაწილემ. ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან და საქართველოს მთავრობის მიერ დამატებით დადგენილი რეგულაციებიდან გამომდინარე, ასევე, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციის საფუძველზე, ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, 2020 წლის დეკემბრის ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდები - საშემოდგომო სესია გადაიდო მომდევნო საანგარიშო წლისთვის, თუმცა ყველა რეგისტრირებულ პირს შეუნარჩუნდა რეგისტრაცია. საშემოდგომო სესიაზე რეგისტრირებულ მონაწილეთა რაოდენობა შეადგენს - 1131 მონაწილეს.





❖ **ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდისთვის მოსამზადებელი კურსი:**

საანგარიშო პერიოდში, ადვოკატთა ასოციაციამ მიიღო საკვალიფიკაციო გამოცდებისთვის მოსამზადებელი კურსის 2 ნაკადი. მოსამზადებელი კურსის საგაზაფხულო ნაკადზე რეგისტრირებულ მონაწილეთა რაოდენობამ შეადგინა 76, საიდანაც გამოცდა წარმატებით ჩააბარა 19-მა. მოსამზადებელი კურსის



საშემოდგომო ნაკადზე დარეგისტრირდა 81 მსმენელი. მოსამაზადებელი კურსის საშემოდგომო ნაკადის მონაწილეთათვის, ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან და საქართველოს მთავრობის მიერ დამატებით დადგენილი რეგულაციებიდან გამომდინარე, აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა ჩატარდება მომდევნო საანგარიშო წელს.



❖ **ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამა:**

საანგარიშო წელს, პროფესიული ადაპტაციის პროგრამა გაიარა 2-მა ნაკადმა, ჯამში 403 მონაწილე. ორივე ნაკადმა დაასრულა 3-თვიანი თეორიული ნაწილი და მიმდინარეობს სტაჟირების 9 თვიანი ნაწილი, [პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულებით] განსაზღვრული წესის შესაბამისად. პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატად რეგისტრირებულია - 465 მენტორი ადვოკატი.





- **ადვოკატის ფიცის დადების ცერემონია:**

საანგარიშო პერიოდში, ტრადიცია ჩაეყარა ადვოკატის ფიცის დადების ოფიციალურ ცერემონიას. ცერემონიის ფარგლებში, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის კურსდამთავრებულებმა ოფიციალურად დადეს ადვოკატის ფიცი, რის შემდეგაც, მათ ფიცის დადების დამადასტურებელი სერთიფიკატები გადაეცათ.



- **განგრძობადი იურიდიული განათლება:**

2020 წლის ადვოკატთა ასოციაციის განგრძობადი იურიდიული განათლების პროგრამა შემუშავდა ასოციაციის წევრთა უშუალო ჩართულობით. საჭიროებების კვლევის შესაბამისად გამოიკვეთა პრიორიტეტული თემები, რომლის საფუძველზეც შემუშავადა საანგარიშო წლის თემატიკა. მიმდინარე წელს ყველა საგანმანათლებლო ღონისძიება გამოქვეყნებული იყო ასოციაციის ვებ-გვერდზე განთავსებულ კალენდარზე, ელექტრონული რეგისტრაციის ფუნქციით.

პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გათვალისწინებით ასოციაციამ წევრებს საგანმანათლებლო ღონისძიებები შესთავაზა დისტანციურ რეჟიმში. საანაგრიშო პერიოდში, ასოციაციამ ჩაატარა 142 ტრენინგი, 1 ტრენერთა ტრენინგი და შეიმუშავა 3 ახალი ონლაინ მოდული განახლებული სისტემითა და ფორმატით.

საგანმანათლებლო ღონისძიებები:

შრომის უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე, ახალი კანონი და მისი იმპლემენტაცია

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის სამართლებრივი რეგულაციები

ადვოკატის წარმომადგენლობა მედიაციის პროცესში

თანასწორუფლებიანობის ეფექტიანი დაცვა

გენდერული თანასწორობა

რელიგიის თავისუფლების სტანდარტები

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები და გასაჩივრების მექანიზმები

საარბიტრაჟო სამართალი

რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებები

რელაციის მეთოდი

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უნარ-ჩვევები

ბავშვთა უფლებები

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება

ტრენერთა ტრენინგი - სექსუალური შევიწროების საქმეთა სამართალწარმოება: ადგილობრივი კანონმდებლობა და საერთაშორისო პრაქტიკა

ონლაინ მოდული: კოლეგიალობის პრინციპი

ონლაინ მოდული: პაციენტის უფლებები

ონლაინ მოდული: პარტნიორთა/აქციონერთა კრების ოქმის ბათილად ცნობა



ამასთან აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 5[1] მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, ადვოკატთა ასოციაციამ შეიმუშავა და დაამტკიცა [არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის სფეროში ადვოკატთა სპეციალიზაციის სტანდარტი,](#) რომლითაც განისაზღვრა კურსის მოდული, ხანგრძლივობა და სპეციალიზაციის მინიჭების წესი.

ადვოკატთა ასოციაციამ, ზემოაღნიშნული სტანდარტის შესაბამისად, ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში უზრუნველყო 1 ტრენერთა ტრენინგისა და 35 ოთხდღიანი კურსის ჩატარება, რომელსაც დაესწრო 1352 ადვოკატი და კურსის გავლის შემდგომ, ტესტირების საფუძველზე, ბავშვთა უფლებებში სპეციალიზებული ადვოკატის სტატუსი მიენიჭა - 1338 მონაწილეს.

ასევე, საანგარიშო პერიოდში ჩატარდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების (სისხლის სამართალი) დამატებითი სპეციალიზებული კურსი, რომელიც გაიარა 317-მა ადვოკატმა, საიდანაც 243 მონაწილეს, ტესტირების საფუძველზე, მიენიჭა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში სპეციალიზებული ადვოკატის სტატუსი.





- **ადვოკატთა ასოციაციის ახალი ვებ-პორტალი:**

საანგარიშო წელს, ადვოკატთა ასოციაციამ, კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (USAID/PROLoG) მხარდაჭერით და Idea Design Group-ის ჩართულობით, დანერგა თანამედროვე ფუნქციონალის მქონე ონლაინ პლატფორმა - ვებ-პორტალი, რომლის საშუალებითაც ასოციაციის წევრ ადვოკატებს, მენტორ ადვოკატებს, ადაპტაციის პროგრამისა და მოსამზადებელი კურსის მსმენელებს, შესაძლებლობა აქვთ დისტანციურად მართონ საგანმანათლებლო პროცესები.



ვებ-პორტალი სრულად არის მორგებული მომხმარებლის საჭიროებაზე. პორტალის საშუალებით შესაძლებელია ადვოკატთა ასოციაციის საგანმანათლებლო ღონისძიებებზე რეგისტრაცია, აგრეთვე ონლაინ ტრენინგების გავლა, კრედიტების მონიტორინგი, ტრენინგის ხარისხის შეფასება, გამოკითხვებში მონაწილეობის მიღება და სხვა საგანმანათლებლო პროცესების მართვა.



მიმდინარე წელს, ახალი-ვებ პორტალის გამოყენებით, სრულად ელექტრონულად წარიმართა პროფესიული ადაპტაციის პროგრამის საგანმანათლებლო პროცესი (განრიგის მართვა, სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთან განაწილება, საგნების და პროგრამის შეფასება და სხვა).

ვებ-პორტალის ეფექტურად გამოყენების უზრუნველსაყოფად წევრებისთვის ჩატარდა საინფორმაციო სესიები და შეიქმნა სპეციალური ვიდეო ინსტრუქცია.

- **განახლებული ონლაინ მოდულები:**

ადვოკატთა ასოციაციამ, ონლიან სწავლების მიმართულების გაძლიერების მიზნით, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით და ხორვატი ექსპერტის ჩართულობით, უზრუნველყო ახალი, თანამედროვე ფორმატისა და სტრუქტურის ონლაინ მოდულების შემუშავება.

განახლებული ფორმატის ონლაინ მოდულების სტრუქტურა ურთიერთდაკავშირებული კომპონენტებისგან შედგება, რომელიც ინტერაქციული მეთოდით არის გადმოცემული და მოიცავს როგორც ვიდეო, ასევე საკითხავ და ტესტურ კომპონენტებს.

აღნიშნული ფორმატით უკვე შემუშავებულია 3 ონლაინ მოდული. მომდევნო წლიდან ასოციაცია წევრებს შესთავაზებს დამატებით ონლაინ მოდულებს სხვადსხვა საინტერესო და აქტუალურ საკითხებზე.





- **სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებათა კრებული:**

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ, USAID/PROLoG-ის მხარდაჭერით, ადვოკატებისთვის გამოსცა სახელმძღვანელო - „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინებები საქართველოს წინააღმდეგ (ნაწილი I)“.

სახელმძღვანელოში თავმოყრილია საქართველოს მიმართ 2005-2019 წლებში გამოტანილი განჩინებები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სავარაუდო დარღვევის ფაქტებზე. აღნიშნული პუბლიკაციის საშუალებით ასოციაციის წევრები შეძლებენ მარტივად მოიძიონ და ეფექტიანად გამოიყენონ პროფესიულ საქმიანობაში

საქართველოს მიმართ განვითარებული, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლი.

<u>ასოციაციის ეთიკის კომისიის საქმიანობა</u>

ეთიკის კომისია, როგორც დისციპლინური დევნის ორგანო ორი მიმართულებით საქმიანობს:

შემოსული ინფორმაციის საფუძველზე ადვოკატის ქცევის შესწავლა და გადაწყვეტილების მიღება დისციპლინირების შესახებ

ადვოკატებისთვის რეკომენდაციათა გაცემა ეთიკურ საკითხებზე ადვოკატის წერილობითი ან ზეპირი მომართვისას

ანგარიში მოიცავს კომისიის საქმიანობის ორივე მიმართულების შესახებ სტატისტიკურ ინფორმაციას, ასევე კომისიის მიერ დისციპლინური წარმოების გარდა განხორციელებული საქმიანობის მიმოხილვას.

- **გადაწყვეტილებათა სტატისტიკური ინფორმაცია:**

2020 წლის 20 დეკემბრის მონაცემებით კომისიაში შევიდა 101 საჩივარი, ხოლო კომისია პარალელურად აწარმოებდა წინა წლებიდან ნაშთის სახით არსებულ 140 საქმეს. კომისიის წარმოებაში არსებული 241 საქმიდან 97 საქმეზე[1] სრულად დასრულდა წარმოება, ხოლო 29 საქმეზე წარმოება დასრულდა საპროცესო წესით დისციპლინური დევნის აღძვრით, მაგრამ ვინაიდან აღნიშნული საქმეები ამჟამად განხილვაშია, ისინი შედის 144 მიმდინარე სტატუსის საქმეთა ნუსხაში.

კომისიის მიერ საპროცესო ეტაპზე ჩატარდა 208, ხოლო განხილვის ეტაპზე 42 სხდომა.

2020 წელს კომისიაში შემოსული 101 საჩივარი წარმოდგენილია შემდეგი პირების მიერ:



- **საპროცესო წარმოების შედეგები:**

ეთიკის კომისიამ არ დააკმაყოფილა 42 პირის მოთხოვნა ადვოკატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნის აღძვრაზე, 23 საქმეზე შეწყვიტა წარმოება, ხოლო 29 საქმეზე დაიწყო დისციპლინური დევნა.

საჩივრები, რაზეც არ დადასტურდა ადვოკატთა მიერ ეთიკური ქცევის სტანდარტების დარღვევა, შეეხებოდა ქცევის შემდეგ სტანდარტებს: კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულება, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, გარანტიის მიცემის დაუშვებლობა, ინტერესთა

[1] საპროცესო წესით - 42 საქმეე დევნის აღძვრაზე უარი, 23 საქმეზე წარმოების შეწყვეტა, განხილვის წესით - 32 საქმე.

კონფლიქტის დაუშვებლობა, კლიენტის კანონიერი და ეთიკური საშუალებებით დაცვა, ჰონორარის და საქმისწარმოების ხარჯების შესახებ კლიენტის ინფორმირების ვალდებულება, კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტისას არსებულ ვალდებულებათა დაცვა, სასამართლოში ქცევის წესების დაცვა, პროცესის მონაწილის უფლებების პატივისცემა, კოლეგიალობის პრინციპი.



23 საჩივარზე ეთიკის კომისიამ დისციპლინური წარმოება შეწყვიტა შემდეგი საფუძვლების გამო:

- 4 შემთხვევაში - საჩივრით მიმართვისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა გაშვება;
- 13 შემთხვევაში - საჩივრის ავტორმა გაიხმო საჩივარი;
- 6 შემთხვევაში - ეთიკის კომისიამ უარი თქვა საჩივართა განხილვაზე შემდეგი საფუძვლებით: საჩივარის განხილვა არ შედიოდა ეთიკის კომისიის კომპეტენციაში; არსებობდა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის იმავე საკითხზე; საჩივარი არ შეიცავდა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით საჩივრისთვის განსაზღვრულ სავალდებულო რეკვიზიტებს.

ეთიკის კომისიამ 29 საქმეზე აღძრა დისციპლინური დევნა და შესაბამისად, ეს საქმეები გადაეცა განხილვის კოლეგიებს. დისციპლინური დევნის აღძვრის

საფუძვლებს წარმოადგენს ადვოკატთა მიერ შემდეგი პროფესიული ვალდებულებების სავარაუდო დარღვევა:

- ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის ვალდებულება - 2 შემთხვევა;
- ინტერესთა შეუთავსებლობა - 6 შემთხვევა;
- კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის განხორციელების ვალდებულება - 13 შემთხვევა;
- კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება საქმის მსვლელობის თაობაზე - 14 შემთხვევა;
- კლიენტის ინტერესების დასაცავად კანონიერი საშუალებების გამოყენების ვალდებულება - 5 შემთხვევა;
- ფინანსური ანგარიშგების წარმოებისა და კლიენტისთვის წარდგენის ვალდებულება - 8 შემთხვევა;
- კლიენტის მიერ ადვოკატისთვის მინდობილი ქონების კეთილსინდისიერად მართვის ვალდებულება - 3 შემთხვევა;
- კლიენტის ფულადი სახსრების ადვოკატის პირადი ფულადი სახრებისგან განცალკევებით შენახვისა და კეთილსინდისიერად მართვის ვალდებულება - 2 შემთხვევა;
- საადვოკატო მომსახურების შეწყვეტის შემდეგ ადვოკატის მიერ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისას მიღებული საზღაურიდან მის მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურებისათვის ექვივალენტური სავარაუდო თანხის გამოქვითვა და საზღაურის სახით მიღებული თანხიდან გამოუმუშავებელი ნაწილის კლიენტისათვის დაბრუნების ვალდებულება - 16 შემთხვევა;
- კოლეგიალობა- 9 შემთხვევა;
- პროცესის მონაწილის პატივისცემის ვალდებულება - 2 შემთხვევა.

❖ **განხილვის წარმოების შედეგები:**

განხილული 32 საქმიდან 23 შემთხვევაში ადვოკატის მიმართ გამოყენებულ იქნა დისციპლინური ღონისძიების შემდეგი სახეები:

- 6 ადვოკატს კომისიამ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართა;
- 15 ადვოკატს დისციპლინურ სახდელად დაეკისრა გაფრთხილება;
- 1 ადვოკატს ჩამოერთვა საქმიანობის უფლება 6 თვის ვადით;
- 1 ადვოკატს შეუწყდა წევრობა (საქმიანობის უფლებამოსილება).

განხილვის კოლეგიის მიერ საქმეთა შესწავლის ეტაპზე, 4 შემთხვევაში ადვოკატი გამართლდა, ვინაიდან არ დადასტურდა პროფესიული ქცევის სტანდარტების დარღვევა, ხოლო 5 შემთხვევაში წარმოება შეწყდა მხარეთა მორიგების საფუძვლით.



საქართველოს უზენაეს სასამართლოში გასაჩივრდა ერთი გადაწყვეტილება, საქმეზე გაფრთხილება შეიცვლა კერძო სარეკომენდაციო ბარათით.

- **რეკომენდაციათა სტატისტიკური მონაცემები**

ეთიკის კომისიის მიერ ადვოკატებისთვის პროფესიული ეთიკის საკითხებზე რეკომენდაციათა წერილობით თუ ცხელი ხაზის მეშვეობით გაცემამ, რომელიც ამოქმედდა 2013 წლიდან, მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა ადვოკატთა შორის. საანგარიშო პერიოდში კომისიამ 47 რეკომენდაცია გასცა, აქედან:

- 40 ზეპირი;
- 7 წერილობითი;
- 2 ადვოკატს უარი ეთქვა რეკომენდაციის გაცემაზე ვინაიდან შეკითხვა შეეხებოდა ეთიკის კომისიის წარმოებაში არსებულ დისციპლინურ საქმეს.



<u>**კომისიის დამატებითი საქმიანობა**</u>

2020 წლის განმავლობაში, ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ ან მისი აპარატის მონაწილეობით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

(ა) ეთიკის კომისიის წევრთა რეგიონული შეხვედრები ადვოკატებთან

ადვოკატებთან პროფესიული ეთიკის საკითხების განხილვისა და კომისიის პრაქტიკის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით, პანდემიით შექმნილი მდგომარეობის გამო, დისტანციურად ჩატარდა შეხვედრები კახეთის, იმერეთის, აჭარის და სამეგრელო-ზემო სვანეთის ადვოკატებთან. დისკუსიის თემად განისაზღვრა პროფესიული ქცევის ის სტანდარტები, რაზეც მიმდინარე წელს ყველაზე მეტი მომართვიანობა დაფიქსირდა კომისიაში. კერძოდ: კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად მომსახურების ვალდებულება; კლიენტის ინფორმირების ვალდებულება; მტკიცების ტვირთი დისციპლინურ წარმოებაში; კლიენტის კანონიერი საშუალებებით დაცვის ვალდებულება; გამოუმუშავებელი ჰონორარის კლიენტისთვის დაბრუნების ვალდებულება; კოლეგიალობა. ადვოკატებს შესაძლებლობა ჰქონდათ პროფესიული ქცევის სხვა საკითხებზეც მიეღოთ ინფორმაცია.



(ბ) გამოცემების მომზადება

კომისიის პრაქტიკის ხელმისაწვდომობის მიზნით, USAID-PROLoG-ის პროექტის მხარდაჭერით, 2020 წლის დეკემბერში კომისიის ერთგვაროვან გადაწყვეტილებათა კრებული გამოიცა, რომელიც მომზადდა ეთიკის კომისიის წევრთა სამუშაო შეხვედრებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა მიხედვით და მოიცავს 2018-2020 წლების კომისიის გადაწყვეტილებათა მიმოხილვას. გამოცემა ხელს შეუწყობს ეთიკის კომისიის პრაქტიკის ერთგვაროვნებას და ადვოკატებს მიაწვდის ინფორმაციას ეთიკის კომისიის უახლესი მიდგომების თაობაზე.

ამასთან, მომზადდა სამაგიდო წიგნი ეთიკის კომისიის წევრებისთვის, რომლის ფარგლებშიც განხილულია, როგორც დისციპლინური წარმოების აქტუალური საკითხები, ასევე კომისიის მიერ 2010 წლიდან შეხვედრებზე მიღებული ის გადაწყვეტილებები, რაც დღემდე მხარდაჭერილია კომისიის მიერ და დისციპლინური წარმოების სხვადასხვა საკითხზე ადგენს პრაქტიკას. გამოცემა ხელს

შეუწყობს ეთიკის კომისიის ერთგვაროვანი პრაქტიკის გაუმჯობესებას, კორპორატიული მეხსიერების შენარჩუნებას და იქნება დამხმარე საინფორმაციო წყარო დისციპლინურ წარმოებაში ჩართული ადვოკატებისთვის. გამოცემა 2021 წელს იქნება ხელმისაწვდომი.

(გ) კომისიის გადაწყვეტილებათა და რეკომენდაციათა საჯაროობის უზრუნველყოფა

ადვოკატთა ასოციაციის ვებ-გვერდზე განთავსდა ეთიკის კომისიის კანონიერ ძალაში შესული ყველა გადაწყვეტილება და რეკომენდაცია.

(დ) რეკომენდაციათა სისტემის ხელმისაწვდომის ზრდა

ეთიკის კომისიის მიერ ადვოკატებისთვის პროფესიული ეთიკის საკითხებზე რეკომენდაციათა სისტემის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ჩატარდა მომხმარებელთა ორი კვლევა:

- პირველი კვლევა მოიცავდა იმ ადვოკატთა სატელეფონო გამოკითხვას, ვინც 2018-2020 წლებში მომართა და მიიღო რეკომენდაცია ეთიკის კომისიისგან (მომზადდა CRRC-საქართველოს მიერ USAID-PROLoG-ის მხარდაჭერით);
- მეორე კვლევა მოიცავდა ადვოკატთა ფართო წრის (მათ შორის, ვისაც არ უსარგებლია რეკომენდაციის სერვისით) ჩართვას კვლევაში ონლაინ კითხვარის გაგზავნით, ასევე სატელეფონო და ინდივიდუალურ გასაუბრებებს (მომზადდა „ეისითი იმპაქტის“ მიერ ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის მხარდაჭერით).

ეთიკის კომისიამ კვლევის შედეგები განიხილა და აღნიშნულის საფუძველზე ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის მხარდაჭერით მომზადდა რეკომენდაციათა გაცემის სისტემის თაობაზე ვიდეო რგოლი, რომელიც მიზნად ისახავს ადვოკატებს მიაწოდოს ინფორმაცია თუ რას ნიშნავს რეკომენდაციის გაცემის მომსახურება, რაში ეხმარება ეს მომსახურება ადვოკატებს და როგორ შეუძლიათ აღნიშნული მომსახურებით სარგებლობა. კვლევის შედეგების მიხედვით, 2021 წელს დაგეგმილია სხვა დამატებითი აქტივობებიც.

(ე) პროფესიული ეთიკის კოდექსისა და დისციპლინური წარმოების დებულების ცვლილებებზე მუშაობა

კომისია მუშაობს პროფესიული ეთიკის კოდექსისა და დისციპლინური წარმოების დებულების ცვლილებებზე, რომლის ფარგლებშიც კომისიის წევრებმა განიხილეს

შემდეგი საკითხი: პროფესიული ეთიკის მარეგულირებელ აქტებში ცვლილებათა საჭიროება პროფესიული ადაპტაციის დებულებიდან გამომდინარე.

ადაპტაციის მონაწილეთა ეთიკური ქცევის სტანდარტების თაობაზე ჩატარდა ორი სამუშაო შეხვედრა ექსპერტების მონაწილეობით: წევრები ონლაინ ფორმატში შეხვდნენ პროფესიული ეთიკის ამერიკელ ექსპერტს, ჯეიმს მოლიტერნოს და მიიღეს მისი წერილობითი რეკომენდაციები (USAID-PROLoG-ის მხარდაჭერით), ასევე შეხვდნენ ევროპელ ექსპერტს, ჯედრეი კლატკას (ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის მხარდაჭერით). ადაპტაციის მონაწილეთა პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხებზე მუშაობა მიმდინარეობს და გაგრძელდება 2021 წელს.

(ვ) იურიდიული კლინიკის განვითარება

სტუდენტებში პროფესიული ქცევის სტანდარტების პოპულარიზაციისთვის ადვოკატთა ასოციაციის ბაზაზე 2016 წლიდან ხორციელდება ეთიკის კლინიკა. კლინიკის მიზანია, მაგისტრატურის ან ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებს გამოუმუშაოს ის აუცილებელი უნარ-ჩვევები, რაც შეესაბამება მაღალ ეთიკურ სტანდარტებს და საადვოკატო საქმიანობის არჩევის შემთხვევაში სტუდენტი მზად იყო ეთიკური საადვოკატო პრაქტიკისათვის. კლინიკა დანერგილი იყო შემდეგ უნივერსიტეტებში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველოს უნივერსიტეტი; შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი; კავკასიის უნივერსიტეტი; საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი; სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი; გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი; ევროპის უნივერსიტეტი. ამასთან, 2020 წელს კლინიკას შემოუერთდა თბილისის ღია უნივერსიტეტი. 2020 წლის განმავლობაში კლინიკაში სწავლება გაიარა 47-მა სტუდენტმა.

პანდემიით შექმნილი გამოწვევა კლინიკისთვის ახალ შესაძლებლობად იქცა და 2021 წლიდან კლინიკა მიიღებს სტუდენტებს რეგიონებიდანაც, რის საშუალებასაც იძლევა კლინიკის ონლაინ პლატფორმის საფუძველზე წარმართვა. კლინიკა ითანამშრომლებს შემდეგ რეგიონულ უნივერსიტეტებთან: სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი; აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი; თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პროექტი ხორციელდება USAID-PROLoG-ის მხარდაჭერით.

აგრეთვე, სტუდენტებში პროფესიული ეთიკის სტანადრტების შესახებ ცოდნის გავრცელების მიზნით, ეთიკის კომისიის წევრების მიერ სტუდენტებისთვის ჩატარდა ვებინარები თემაზე - პროფესიული ეთიკის გავლენა ადვოკატის საქმიანობაზე.

ვებინარები ჩატარდა შემდეგი უნივერსიტეტების სტუდენტებისთვის: საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, ევროპის უნივერსიტეტი, თბილისი ღია უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერისტეტი.





(ზ) მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა დისციპლინური წარმოების ხარისხის ზრდის მიზნით

დისციპლინური წარმოების ხარისხის ზრდის მიზნით, USAID-PROLoG-ის ფინანსური მხარდაჭერით, ადვოკატთა ასოციაციამ, CRRC-საქართველოს ჩართულობით ჩაატარა სატელეფონო გამოკითხვა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მუშაობის შესაფასებლად. სატელეფონო გამოკითხვის ფარგლებში კომუნიკაცია განხორციელდა 2018-2020 წლების დისციპლინურ საქმეთა მხარეებთან - როგორც განმცხადებელებთან, ასევე ადვოკატებთან. დისციპლინურ საქმეთა მხარეების გარდა, გამოკითხვა ჩატარდა იმ ადვოკატებშიც, ვინც 2018-2020 წლებში ისარგებლეს ეთიკის კომისიის რეკომენდაციებით. მიღებული შედეგები ეთიკის კომისიამ განიხილა მკვლევარ ორგანიზაციასთან და ძირითადი მიგნებების საფუძველზე დაიგეგმა ღონისძიებები მომსახურების ხარისხის ზრდისთვის.

<u>ასოციაციის სარევიზიო კომისიის საქმიანობა</u>

2020 წლის განმავლობაში, სარევიზიო კომისია შეიკრიბა 4-ჯერ, იმსჯელა სხვადასხვა საკითხებზე და გამოსცა შესაბამისი დადგენილებები.

ადვოკატთა ასოციაციის სარევიზიო კომისიის მოთხოვნით ყოველი წლის დასრულების შემდეგ ტარდება ასოციაციის ფინანსური აუდიტი. სარევიზიო კომისია

კონკურსის გზით ირჩევს დამოუკიდებელ აუდიტორთა ჯგუფს, რომელიც ამოწმებს ასოციაციის ფინანსურ ანგარიშებს და იღებს დასვნას, რომელიც ქვეყნდება ასოციაციის ოფიციალურ გვერდზე www.gba.ge და იგი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებულ პირსთვის. აღნიშნული წესის შესაბამისად, სარევიზიო კომისიის 2020 წლის 11 ნოემბრის სხდომაზე დამტკიცდა დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანიის მიერ შედგენილი ადვოკატთა ასოციაციის 2019 წლის ფინანსური ანგარიშგების დასკვნა. აღნიშნული დასკვნიდან აღსანიაშნავია რამოდენიმე მნიშვნელოვან ასპექტი:

ასოციაციის 2019 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 1 172 400 ლარს, რომლის 91 % ათვისებულ იქნა 2019 წლის განმავლობაში ასოციაციის ძირითადი მიმართულებების ხელშეწყობისა და განვითარებისათვის, მათ შორის:

- საგანმანათლებლო მიმართულებით გაიხარჯა 113 990 ლარი;
- სოციალური დაცვის ფონდიდან ასოციაციის 45 წევრის ჯანმრთელობის პრობლემების მხარდასაჭერად გაიხარჯა 51 986 ლარი.
- ასოციაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიული გეგმის თანახმად, გაწეულა ხარჯი მედია გეგმის მიმართულებით - 14 164 ლარი.
- ასოციაციის კომიტეტების მუშაობისა და თბილისის და რეგიონული შეხვედრების ორგანიზებისათვის 39 917 ლარი.
- ქართული ადვოკატურის 100 წლის იუბილეს აღსანიშნავად ორგანიზებული ღონისძიებების, ადვოკატთა ასოციაციის სწორი პოზიციონირებისთვისა და პროფესიის იმიჯის ზრდისთვის გაიხარჯა 118 783 ლარი.

ასოციასოციაციის 2019 წლის ბიუჯეტი წინა წელთან მიმართებაში გაზრდილია 28%-ით, 31%-ით გაზრდილია ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავალი.

მიუხედავად დონორი ორგანიზაციების დაფინანსების 66%-იანი შემცირებისა, რაც უმეტესწილად გამოწვეული იყო ადვოკატთა კორპუსზე მიმართული სხვადასხვა პროქტების და აქტივობების ამოწურვით ანდა დაფინანსების შემცირებით, ასოციაციის აქტივების მთლიანი ღირებულება 41%-ით, ხოლო ფულადი სახსრების ოდენობა წლის ბოლოსათვის 42%-ით გაიზარდა.

2019 წელს დონორების მხრიდან მიღებული პირდაპირი დაფინანსება შეადგენდა 148 724 ლარს, რაც მიმართული იყო საგანმანათლებლო ღონისძიებებისა და ეთიკის კომისიის საქმიანობის გაძლიერებისთან დაკავშირებული აქტივობების განხორციელება-ადმინისტრირებაში.

ასოციაციის 2020 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 884 500 ლარით. წლის განმავლობაში ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ძირითადი მიმართულებების მიხედვით გახარჯულია შემდეგი თანხები:

- **საგანმანათლებლო მიმართულება - 43 000 ლარი,** რომელიც სრულად მოხმარდა განგრძობადი იურიდიული განათლების მიზნებს, დონორებთან განხორციელებულ პროექტებში თანამონაწილებას, სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისზიებების ორგანიზებას, ადვოკატთა პროფესიული ჯგუფების შეხვედრების ორგანიზებას.
- **ასოციაციის კომიტეტები - 30 000 ლარი,** რომელიც მოხმარდა კომიტეტების ადგილობრივი, რეგიონული და საერთაშორისო კონფერენციების, სამუშაო შეხვედრებისა და ღონისძიებების ორგანიზებას.
- **ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდი - 90 000 ლარი.** წლის განმავლობაში სოციალური ფონდის დახმარებით ისარგებლა ასოციაციის წევრმა 62-მა ადვოკატმა. ფონდის მიზანია გვერდით დაუდგეს წევრებს, რომლებსაც მძიმე ფინანსური პრობლემები აქვთ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.
- **მედია გეგმის ხარჯი - 15 000 ლარი,** რომელიც წლის განმავლობაში ასოციაციაში განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტების და ღონისძიებების გაშუქებას და საზოგადოებისთვის გაცნობა-წარდგენას ემსახურება.

<u>ასოციაციის სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით განხორციელებული აქტივობები</u>

სოციალური პასუხისმგებლობის პროპულარიზაცია, პრო-ბონო მიმართულების განვითარება და ინსტიტუციონალიზაცია, ასოციაციის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. პრო-ბონო მიმართულების განვითარების მიზნით, სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, ორი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. კერძოდ:

2020 წლის ივლისში წარმატებით დასრულდა 2 წლიანი პროექტი - **პალიატიური მზრუნველობის პაციენტებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფასო იურიდიული დახმარება** - რომელიც საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ მხარდაჭერით განახორციელა და რომლის ფარგლებშიც ადვოკატები იურიდიულ დახმარებას ახორციელებდნენ ანაზღაურების გარეშე. პროექტის ფარგლებში შემოსულ საქმეებზე კვალიფიციური იურიდიული დახმარება გაეწია 33 ბენეფიციარს.

2020 წლის 10 ივლისიდან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, დაიწყო ახალი პრობონო პროექტი **სოციალურად მოწყვლადი მარტოხელა მშობლებისათვის.** აღნიშნული პროექტის დაწყებიდან - დღემდე, პროექტის ფარგლებში, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე კვალიფიციური იურიდიული დახმარება უსასყიდლოდ გაეწია 31 ბენეფიციარს.

2020 წლის 8 ოქტომბერს გაიმართა პროექტის - სოციალურად მოწყვლადი მარტოხელა მშობლების იურიდიული დახმარება - შუალედური შედეგების პრეზენტაცია და დისკუსია, რომელშიც სხვა დამსწრე პირებთან ერთად მონაწილეობდნენ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, ევროსაბჭოს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი, საქართველოში ნორვეგიის სამეფოს ელჩი, სახალხო დამცველის მოადგილე, პარლამენტის წევრი/გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი და შეხვედრაზე მონაწილე მხარეებმა განიხილეს ადვოკატთა ასოციაციის პრო-ბონო მიმართულება, როგორც ასოციაციის ერთ-ერთ პრიორიტეტული მიმართულება და მისი მნიშვნელობა. საუბარი ასევე შეეხო მარტოხელა მშობლის სტატუსთან დაკავშირებულ საკანონმდებლო და პროცედურულ ბარიერებს.

<u>მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს დაარსება</u>

2020 წლის 16 ივლისსს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ და საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს, რომლითაც ოფიციალურად დაარსდა **„მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭო“** და საფუძველი ჩაეყარა ე.წ. ბენჩ-ბარ ფორმატის ინსტიტუციონალიზაციას.

„მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს“ მიზანია, იურიდიულ პროფესიათა შორის რეგულარული შეხვედრებისა და დისკუსიების გზით

მართლმსაჯულების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა და კანონის უზენაესობის განმტკიცება. ბენჩ-ბარის ფორმატის ინსტიტუციონალიზაციის პროცესი ინიცირებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ და მას მხარს უჭერს ევროპის საბჭო და USAID/PROLoG.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში, 2020 წლის 2 ოქტომბერს, მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს პირველი შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის ფარგლებში საკოორდინაციო საბჭომ განიხილა **ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სისტემასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები,** საკოორდინაციო საბჭოს პირველი შეხვედრა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ და გენერალურმა პროკურორმა გახსნეს. საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრაში მონაწილეობდნენ აღნიშნულ სფეროში ხანგრძილივი გამოცდილების მქონე ადვოკატები, მოსამართლეები და პროკურორები, ისევე როგორც პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭო აქტიურად გააგრძელებს შეხვედრებსა და მუშაობას, მათ შორის რეგიონებში.

<u>კორპორაციული მიმართულება</u>

საანგარიში პერიოდში ადვოკატთა ასოციაციის აპარატმა დანერგა ახალი მიმართულება, რომელიც გულსმობს ასოციაციის წევრებისთვის მრავალფეროვანი კორპორაციული შეთავაზებების ამოქმედებას. ამ მიზნით, ასოციაციამ 2020 წელს აქტიურად ითანამშრომლა და აწარმოა მოლაპარაკებები სხვადასხვა ორგანიზაციასთან, რის შედეგადაც წევრთათვის შეთავაზებულ იქნა შემდეგი კორპორაციული პაკეტები:

- ადვოკატებისათვის კორპორაციული ჯანმრთელობის დაზღვევის შეთავაზება სადაზღვევო კომპანია **,,არდი"- სგან.**
- **სილქნეტთან/ჯეოსელთან** არსებული თანამშრომლობის ფარგლებში ასოციაციის წევრებს ეძლევათ შესაძლებლობა სპეციალური კორპორაციული სატელეფონო მომსახურების -

,,სატელეფონო პაკეტი-ადვოკატით“ სარგებლობის შემთხვევაში 25 ლარიანი სერვისი შეიძინონ 15 ლარად და ამასთან, **ისარგებლონ** ინტერნეტ პაკეტების დამატებითი შეთავაზებით სპეციალურად ადვოკატებისათვის შემუშავებული ფასდაკლებული სატარიფო გეგმით.

- **ევექსი კლინიკების ქსელში** სამედიცინო მომსახურების (ლაბორატორიულ, დიაგნოსტიკურ და მაღალტექნოლოგიურ კვლევებზე, მათ შორის, ექოსკოპიაზე და კომპიუტერულ ტომოგრაფიაზე) შეღავათიანი პირობები. მათ შორის COVID-19-თან დაკავშირებული ლაბორატორიული კვლევების ჩატარება/ტესტირება ფასდაკლების გეგმის შესაბამისად.
- **სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი,** ასოციაციის ყველა მოქმედ წევრს სთავაზობს სპეციალურ კორპორაციულ ფასდაკლებას ყველა ტიპის საწვავზე (დიზელი, ბენზინი) სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის ავტოგასამართ სადგურებზე და ამავე კომპანიის გაზგასამართ სადგურებში არსებულ ბუნებრივ აირზე.

- **„რეგუსის“** ოფისებით, სამუშაო და საკონფერენციო სივრცით სარგებლობის საშუალება ქ. თბილისში არსებულ „რეგუსის“ ფილიალებში ადვოკატთათვის შექმენილი კორპორაციული ტარიფებით.
- სპეციალური კორპორაციული შეთავაზების ფარგლებში, ასოციაციის წევრებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ **„ტერმინალის“** ოფისებით, სამუშაო და საკონფერენციო სივრცით ქ. თბილისში არსებულ ტერმინალის ფილიალებში 24 საათის განმავლობაში.
- კომპანია **"ჯორჯიტა“-სთან** დადებული შეთანხმების თანახმად, კომპანია ,,ჯორჯიტა" ადვოკატთა ასოციაციის წევრებს სთავაზობს სპეციალურ კორპორაციულ ფასდაკლებას ონლაინ მაღაზიაზე.

ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, გამოიცა ადვოკატის პროფესიის სამართლებრივი რეგულაციების კრებულის განახლებული ვერსია.



ქართული ადვოკატურის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი წიგნის - „თავის უფალი ადამიანი“ განახლებული ვერსია, სადაც მწერალი დათო ტურაშვილი იხსენებს ქართული სამართლის ისტორიის საკითხებს და საუბრობს საადვოკატო საქმიანობის მნიშვნელობაზე დემოკრატიული სახელმწიფოსთვის, გამოიცა „ბაკულ სულაკაურის“ გამომცემლობის მიერ და ხელმისაწვდომია ფართო საზოგადოებისთვის. აღნიშნული აქტივობა ძალზედ მნიშვნელოვანია ადვოკატის როლისა თაობაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კუთხით.



საანგარიშო პერიოდში ადვოკატთა ასოციაციამ გამოსცა განახლებული ფორმატის ჟურნალის 2 ნომერი. ჟურნალის ორივე ნომერი ელ-ფოსტის საშუალებით გაეგზავნათ ასოციაციის წევრებს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ჟურნალი „ჩემი ადვოკატი“ ახლა უკვე გაყიდვაშია და წარმოადგენს ჩვენი საზოგადოების გზამკვლევს იურიდიულ საკითხებში.

<u>საერთაშორისო თანამშრომლობა</u>

2020 წლის 11 ივნისს დვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე - დავით ასათიანსა და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩ - კელი დეგნანს შორის გაცნობითი შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა განიხილეს მიმდინარე და

სამომავლო თანამშრომლობასთან დაკავშირებული საკითხები. ელჩმა დეგნანმა ადვოკატთა ასოციაციას და იურიდიულ პროფესიას შემდგომი გაძლიერების პროცესში მხარდაჭერა აღუთქვა.

2020 წლის 14 ოქტომბერს, ადვოკატთა ასოციაციაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩთან ოფიციალური შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა გერმანულ და ქართულ იურიდიულ პროფესიებს შორის თანამშრომლობის საკითხები განიხილეს, მათ შორის გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ), საერთაშორისო იურიდიული თანამშრომლობის გერმანულ ფონდთან (IRZ) და გერმანიის ადვოკატთა ფედერალურ პალატასთან ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში მიმდინარე და სამომავლო პროექტები.
ელჩმა ჰუბერტ ქნირშმა ხაზი გაუსვა ადვოკატთა ასოციაციის და იურიდიული პროფესიის მნიშვნელოვან როლს საქართველოში ხარისხიანი და ეფექტიანი მართლმსაჯულების სისტემის ჩამოყალიბების პროცესში და ამ მიმართულებით შემდგომი თანამშრომლობის მზაობა გამოთქვა.

2020 წლის 14 ოქტომბერს, საქართველოში ევროსაბჭოს ოფისის ახალ ხელმძღვანელთან გაცნობითი სახის ოფიციალური შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე მხარეებმა ადვოკატთა ასოციაციასა და ევროსაბჭოს შორის მიმდინარე პროექტები და სამომავლო თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. ევროსაბჭოს ოფისის ხელმძღვანელმა, ნატალია ვუტოვამ იურიდიული პროფესიის და ადვოკატთა ასოციაციის შემდგომი გაძლიერების მიმართულებით აქტიური მხარდაჭერისა და თანამშრომლობის მზაობა გამოთქვა.

საანგარიშო პერიოდში ადვოკატთა ასოციაციამ საერთაშორისო იურიდიული თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) წარმომადგენლებთან მნიშვნელოვანი შეხვედრები გამართა, რამაც მყარი საფუძველი ჩაუყარა ასოციაციასა და IRZ-ს შორის არსებული თანამშრომლობის კიდევ უფრო გაფართოებას. 2020 წლის 19 ნოემბერს IRZ-სა გერმანიის ადვოკატთა ფედერალური პალატასთან (BRAK) თანამშრომლობით, ადვოკატთა ასოციაციამ გამართა სამუშაო შეხვედრა - ადვოკატთა ანაზღაურების გერმანულ მოდელთან დაკავშირებით. ასევე, IRZ-ის აქტიური მხარდაჭერით, ადვოკატთა ასოციაცია ახორციელებს კომერციული დავების განხილვის გერმანული მოდელის შესწავლისა და საქართველოს რეალობაში მისი ინტეგრირებასთან დაკავშირებულ პროექტს.

2020 წლის 25 თებერვალს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროს (INL) მხარდაჭერით, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას სამუშაო ვიზიტით

აშშ-ს ჯორჯიის შტატის ადვოკატები ეწვივნენ. შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა განიხილეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სფეროში ადვოკატთა კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით უკვე განხორციელებული ღონისძიებები, ისევე როგორც სამომავლო აქტივობები, მათ შორის დამატებითი სიღრმისეული ტრენინგებისა და ტრენერთა-ტრენინგების განხორციელების საკითხები.

2020 წლის 13 თებერვალს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტების მთავარი სპეციალისტი, ლეიო სიბელი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს დავით ასათიანსა და ასოციაციის წარმომადგენლებს შეხვდა. მხარეებმა განიხილებს ადვოკატთა ასოციაციისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ერთობლივი პროექტები, სამომავლო გეგმები და შეთანხმდნენ აქტიურ თანამშრომლობაზე.

2020 წლის თებერვალში გამოჩენილი პოლონელი ეკონომისტი, რეფორმატორი და სახელმწიფო მოღვაწე - ლეშეკ ბალცეროვიჩი, სამუშაო ვიზიტით საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას ეწვია. სამუშაო შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა კანონის უზენაესობის და სასამართლოს დამოუკიდებლობის კუთხით პოლონეთსა და საქართველოში არსებულ გამოწვევებსა და გადაჭრის გზებზე ისაუბრეს.

- **CCBE-ის მხარდაჭერა ერთიანი, ძლიერი და დამოუკიდებელი ადვოკატთა ასოციაციის მიმართ.**

„ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საზოგადოების საბჭომ“ (CCBE), რომელიც წარმოადგენს 45 ქვეყნის ადვოკატთა ასოციაციებს და მილიონზე მეტ ევროპელ ადვოკატს, კიდევ ერთხელ გამოხატა თავისი მტკიცე მხარდაჭერა საქართველოში ერთიანი და დამოუკიდებელი საადვოკატო პროფესიის მიმართ.

CCBE უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ძლიერი და დამოუკიდებელი საადვოკატო პროფესიის არსებობას როგორც საქართველოში, ასევე ევროპის სხვა ქვეყნებში. შესაბამისად, CCBE-იმ შეიმუშავა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წარუდგინა „სასამართლოს მეგობრის“ მოსაზრება (amicus curiae) საკონსტიტუციო საქმეზე ნომრით - 1/13/1424.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წარდგენილ „სასამართლო მეგობრის“ მოსაზრებაში, მართლმსაჯულების სფეროში ევროპის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი და გავლენიანი ორგანიზაცია ნათლად განმარტავს

თვითრეგულირებადი საადვოკატო პროფესიის არსს და მის მნიშვნელობას კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის შენების პროცესში და მიმართავს საქართველოს საკნონსტიტუციო სასამართლოს უარი ეთქვას წარდგენილ საკონსტიტუციო სარჩელს, როგორც უსაფუძვლოს და „ამით უზრუნველყოს და დაიცვას საქართველოში ძლიერი და დამოუკიდებელი საადვოკატო პროფესიის შენარჩუნება, როგორც ეს გარანტირებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ.“

CCBE-ის აღნიშნული პოზიცია წარმოადგენს როგორც ჩვენი ერთიანი პროფესიული გაერთიანების, ასევე თითოეული ადვოკატის საქმიანობის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მტკიცე მხარდაჭერას.



„საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია არ არის ნებაყოფლობითი პროფესიული კავშირი, არამედ იგი საჯარო ინსტიტუციაა, რომელიც საკანონმდებლო ორგანომ შექმნა გარკვეული დელეგირებული საჯარო ფუნქციების შესასრულებლად. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში სავალდებულო წევრობა მათთვის, ვისაც სურს, განახორციელოს საადვოკატო საქმიანობა, როგორც ამას „ადვოკატთა შესახებ“ კანონი ადგენს, აუცილებელია საკანონმდებლო ორგანოს მიერ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის შექმნასთან დაკავშირებული მიზნების მისაღწევად - აღნიშნულია ჯეიმს მოლიტერნოს „სასამართლოს მეგობრის“ მოსაზრებაში.

<u>საადვოკატო საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს შემდგომი სრულყოფა</u>

ადვოკატთა შესახებ “საქართველოს კანონსა და სხვა მომიჯნავე სამართლებრივ აქტებში შესატანი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის განხილვის მიზნით, ევროპის საბჭოსა და USAID/PROLoG-ის მხარდაჭერით გაზაფხულზე სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრაში ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის და სარევიზიო კომისიის წევრები, ასევე საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, კომიტეტის აპარატისა და პარტიონირი დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

განხილული საკანონმდებლო პაკეტი შეიცავს ადვოკატის პროფესიასა და საქმიანობასთან დაკავშირებულ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: ადვოკატის სტაჟიორის საპროცესო უფლებამოსილებები, სასამართლგანხილული საკანონმდებლო პაკეტი შეიცავს ადვოკატის პროფესიასა და საქმიანობასთან დაკავშირებულ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: ადვოკატის სტაჟიორის საპროცესო უფლებამოსილებები, სასამართლო ხარჯების განაწილება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, უკანონო საადვოკატო საქმიანობის აკრძალვა, ფიზიკური პირის მიერ საადვოკატო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის საშეღავათო დაბეგვრა, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მოქმედება ადვოკატის საქმიანობაზე, შეღავათი სახელმწიფო ბაჟში ადვოკატის ჰონორართან დაკავშირებულ დავებზე, და სხვა.

ამასთან, ადვოკატებთან, რომლებიც გურიის, იმერეთის, სამეგრელოს აჭარის და კახეთის რეგიონებში ახორციელებენ საქმიანობას, სამუშაო შეხვედრები გაიმართა ასოციაციის თავმჯდომარის მონაწილეობით. შეხვედრის ფარგლებში განხილულ იქნა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონსა და სხვა თანმდევ აქტებში შესატანი ის ცვლილებების პროექტი. შეხვედრები გაიმართა USAID/PROLoG-ის მხარდაჭერით და ხელს უწყობს ადვოკატების მაქსიმალურ ჩართულობას მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებში.

- **საარჩევნო სისტემის რეფორმა**

ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ადვოკატთა ასოციაციამ ევროსაბჭოსა და USAID/PROLoG-ის მხარდაჭერით დაიწყო აქტიური მუშაობა ასოციაციის თავმჯდომარისა და მმართველი ორგანოების საარჩევნო სისტემისა და პროცესის რეფორმირების მიზნით.

ამისათვის შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგება შედგება ადვოკატთა ასოციაციის, იურიდიული დახმარების სამსახურის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისგან, ისევე როგორც ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტებისგან CCBE-დან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

28 სექტემბერს, ადვოკატთა ასოციაციის ინიციატივით და ევროპის საბჭოსა და USAID/PROLoG-ის მხარდაჭერით გაიმართა ადვოკატთა ასოციაციის საარჩევნო სისტემის რეფორმასთან დაკავშირებული სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა, სადაც განხილულ იქნა არჩევნების პროცესებთან დაკავშირებული გამოწვევები და ხარვეზები და განისაზღვრა სამომავლოდ განსახორციელებელი აქტიოვბები.

ადვოკატთა ასოციაციის ინფრასტრუქტურული განვითარება

საანგარიშო პერიოდში გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ადვოკატთა ასოციაციის ინფრასტრუქტურული განვითარების კუთხით.

კერძოდ, შემუშავდა არქიტექტორული პროექტი და დიზაინი, განხორციელდა და შემუშავდა გეოლოგიული, ტოპოგრაფიული, დენდროლოგიური, სატრანსპორტო, სახანძრო და სხვა სახის კვლევები და დასკვნები, რის საფუძველზეც, სათანადო პროცედურების გავლის შედეგად, თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ ადვოკატთა ასოციაციაზე გაიცა მშენებლობის ნებართვა.

ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით შეირჩა სამშენებლო კომპანია, რომელიც უკვე აწარმოებს სამშენებლო სამუშაოებს.

ასოციაციის ახალი ოფისი წარმოადგენს ქართველ ადვოკატთა არაერთი თაობის ოცნების ხორცშესხმას - ადვოკატურას ჰქონდეს საკუთარი თანამედროვე, პრესტიჟული და კომფორტული სივრცე, რომლითაც შეუზღუდავად ისარგებლებს ყველა წევრი.